სსიპ
ვეტერანების საქმეთა
სახელმწიფო სამსახური
საქართველო, ქ. თბილისი 0114, გორგასლის ქ. 75
ტელ: (+995 32) 248 16 26, ელ-ფოსტა: info@veterans.gov.ge

LEPL
State Service of
Veterans Affairs
75 Gorgasali str., Tbilisi 0114, Georgia
Tel: (+995 32) 248 16 26, E-mail: info@veterans.gov.ge

SSVA 00009476

02/05/2019

საქართველოს პრემიერ-მინისტრს
ბატონ მამუკა ბახტაძეს

ბატონო მამუკა,

განსახილველად წარმოგიდგენთ ,,9 მაისის - ფაშიზმზე გამარჯვების 74-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტს განმარტებით ბარათთან ერთად.

დანართი: 6 (ექვსი) ფურცელი.

პატივისცემით,

სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის
დირექტორი ვლადიმერ იმნაძე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

განმარტებითი ბარათი

„9 მაისის - ფაშიზმზე გამარჯვების 74-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტის თაობაზე

ინფორმაცია განკარგულების პროექტის თაობაზე

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მომზადების მიზანია 9 მაისის - ფაშიზმზე გამარჯვების 74-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზების სამოქმედო გეგმის განსაზღვრა და საქართველოში მცხოვრები მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებისა და მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა დამსახურების გათვალისწინებით, ღირსშესანიშნავი თარიღის აღნიშვნა.

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ფულადი დახმარების გაცემას მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებისათვის 600 ლარის და მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახების წევრებისათვის 300 ლარის ოდენობით.

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე (გარდა ქ. თბილისში რეგისტრირებული მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებისა და მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახების წევრებისა) ერთჯერადი ფულადი სოციალური დახმარების გაცემას უზრუნველყოფს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტო, „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-5 პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სამინისტროსათვის გათვალისწინებული „მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების" პროგრამის (პროგრამული კოდი: 27 02 02) ასიგნებიდან, ხოლო ქ. თბილისში რეგისტრირებული მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებისა და მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახების წევრებისათვის - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ასიგნებებიდან.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ფულადი დახმარების გაცემასთან ერთად ითვალისწინებს რიგ ღონისძიებებს ფაშიზმზე გამარჯვების 74-ე წლისთავის აღსანიშნავად, მათ შორის: საქართველოს პრემიერ-მინისტრის სახელით გამართულ მიღებებს, ვაკის პარკში საზეიმო ღონისძიებებს და სხვა.

ინფორმაცია ევროკავშირის სამართლებრივი აქტის შესახებ

წარმოდგენილი პროექტის მომზადებისას ევროკავშირის შესაბამისი სამართლებრივი აქტი გამოყენებული არ არის.

პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

განკარგულების პროექტის მიღება სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ფინანსური სახსრების ხარჯვასთან დაკავშირებული არ არის.

პროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

არსებული მდგომარეობით სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში საქართველოს მასშტაბით რეგისტრირებულია 492 მეორე მსოფლიო ომის მონაწილე (მათ შორის ქ. თბილისში რეგისტრირებულია 190 პირი) და მეორე მსოფლიო ომში დაღუპულის ოჯახის 270 წევრი (მათ შორის ქ. თბილისში რეგისტრირებულია 63 პირი).

შესაბამისად, განკარგულების პროექტით გათვალისწინებული ფულადი დახმარების ოდენობის პირობებში, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე (გარდა ქ. თბილისში რეგისტრირებული მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებისა და მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახების წევრებისა) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებებიდან გასაცემი ერთჯერადი ფულადი სოციალური დახმარების საერთო ოდენობა შეადგენს 243 300 (ორას ორმოცდასამი ათას სამასი) ლარს, ხოლო ქ. თბილისში რეგისტრირებული მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებისა და მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახების წევრებისათვის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებებიდან გასაცემი თანხის საერთო ოდენობა შეადგენს 132 900 (ას ოცდათორმეტი ათას ცხრაასი) ლარს. წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული ერთჯერადი ფულადი სოციალური დახმარების საერთო ოდენობა შეადგენს 376 200 (სამას სამოცდათექვსმეტი ათას ორასი) ლარს.

პროექტის მოსალოდნელი შედეგები

საქართველოს მთავრობის წინამდებარე განკარგულების პროექტის მიღების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება საქართველოში მცხოვრები მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებისა და მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახების დაფასება და მათი დამსახურების სათანადოდ აღნიშვნა.

პროექტის განხორციელების ვადები

პროექტის ამოქმედება უნდა განხორციელდეს ხელმოწერის დღიდან.

პროექტის ავტორი და წარმდგენი

განკარგულების პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია.

საქართველოს მთავრობის
განკარგულება
№ 2019 წლის ქ. თბილისი

9 მაისის - ფაშიზმზე გამარჯვების 74-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“, ,,ლ“ და ,,ჰ3“ ქვეპუნქტების, მე-6 მუხლისა და „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, დამტკიცდეს თანდართული 9 მაისის - ფაშიზმზე გამარჯვების 74-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზების სამოქმედო გეგმა (შემდგომში - სამოქმედო გეგმა).

2. ეთხოვოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შესაბამისი მუნიციპალიტეტების მერიებს, აგრეთვე სახელმწიფო რწმუნებულების - გუბერნატორების ადმინისტრაციებს, კომპეტენციის ფარგლებში, სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების ჩატარება ან/და მათში მონაწილეობის მიღება სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურსა (შემდგომში - სამსახური) და სამსახურის ტერიტორიულ ორგანოებთან ერთად.

3. ფაშიზმზე გამარჯვების 74-ე წლისთავის აღსანიშნავი საზეიმო ღონისძიებების ფარგლებში დაწესდეს ერთჯერადი ფულადი სოციალური დახმარება მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთათვის 600 ლარისა და მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახების წევრთათვის 300 ლარის ოდენობით.

4. ამ განკარგულების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ერთჯერადი ფულადი სოციალური დახმარება არ გაითვალისწინება ,,ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ” საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის №126 დადგენილებით გათვალისწინებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში“ რეგისტრირებული/რეგისტრაციის მაძიებელი ოჯახ(ებ)ის შემოსავლებში და არ არის ფულადი სოციალური დახმარების - საარსებო შემწეობის შეჩერების/შეწყვეტის ან/და ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ხელახალი გადამოწმების საფუძველი.

5. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე (გარდა ქ. თბილისში რეგისტრირებული მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებისა და მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახების წევრებისა) ერთჯერადი ფულადი სოციალური დახმარების გაცემა უზრუნველყოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - სოციალური მომსახურების სააგენტომ (შემდგომში - სააგენტო) სახელმწიფო სოციალური შინაარსის ფულადი გასაცემლების გაცემაზე/დარიგებაზე მომსახურე შესაბამისი საბანკო დაწესებულების მეშვეობით, ამ განკარგულების მე-7 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად მიწოდებული სიის საფუძველზე. სააგენტო დამატებით უზრუნველყოფს მონაცემების (სახელი, გვარი, პირადი ნომერი) შედარებას სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მიწოდებულ მონაცემთა ბაზასთან, 2019 წლის პირველი მაისის მდგომარეობით ცოცხლად მყოფ

პირთა დაზუსტებისა და ამ პირებზე სოციალური დახმარების გაცემის მიზნით. სამსახურის მონაცემთა ბაზის სსიპ — სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ბაზასთან შედარების შედეგები ფულადი დახმარების გაცემამდე დაუყოვნებლივ ეცნობოს სამსახურს.

6. ამ განკარგულების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსება (გარდა ქ. თბილისში რეგისტრირებული მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებისა და მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახების წევრებისა) განხორციელდეს „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-5 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის გათვალისწინებული „მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების" პროგრამის (პროგრამული კოდი: 27 02 02) ასიგნებიდან.

7. სამსახურმა არა უგვიანეს 2019 წლის 6 მაისისა:

ა) სააგენტოს მიაწოდოს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე რეგისტრირებული (გარდა ქ. თბილისში რეგისტრირებული მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებისა და მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახების წევრებისა). მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებისა და მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახების წევრების სახელობითი მონაცემები;

ბ) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას მიაწოდოს შესაბამისი სახელობითი მონაცემები ქ. თბილისში რეგისტრირებული მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებისა და მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახების წევრების შესახებ.

8. ეთხოვოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, უზრუნველყოს ქ. თბილისში რეგისტრირებული მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებისათვის 600 ლარისა და მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახების წევრებისათვის 300 ლარის ოდენობის ფულადი დახმარების გაცემის მიზნით შესაბამისი სახსრების გამოყოფა.

9. ეთხოვოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საზოგადოებრივ მაუწყებელს უზრუნველყოს ფაშიზმზე გამარჯვების 74-ე წლისთავთან დაკავშირებული საზეიმო ღონისძიებების გაშუქება.

პრემიერ-მინისტრი *მამუკა ბახტაძე*

9 მაისის - ფაშიზმზე გამარჯვების 74-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზების სამოქმედო გეგმა

ღონისძიების დასახელება	ღონისძიებაზე პასუხისმგებელი უწყება
საქართველოს პრემიერ-მინისტრის სახელით გამართული ვეტერანების მიღება და ამ მიღების უზრუნველყოფა ეროვნული გვარდიის სამხედრო საჩვენებელი ორკესტრით, საქართველოს პრემიერ-მინისტრის სახელით დასაგზავნი მისალოცი ბარათების ბეჭდვა	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური
ვაკის პარკში საზეიმო ღონისძიებების შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით, ეროვნული გვარდიის საპატიო ყარაულით, სამხედრო საჩვენებელი ორკესტრით, ბავშვთა ორკესტრითა და კაპელით უზრუნველყოფა	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ერთჯერადი ფულადი სოციალური დახმარება მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებისა და მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებისათვის	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბენეფიციარების ნაწილში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო - დანარჩენი ბენეფიციარების ნაწილში, სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური
უცნობი ჯარისკაცის საფლავის, საძმო სასაფლაოების, ძეგლების კეთილმოწყობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტსა და მუნიციპალიტეტებში	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერია, შესაბამის ადმინისტრაციულ- ტერიტორიულ ერთეულებში - სახელმწიფო რწმუნებულები - გუბერნატორები, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
ფაშიზმზე გამარჯვების 73-ე წლისთავის აღნიშვნასთან დაკავშირებით საზეიმო ღონისძიებების გამართვა	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერია, შესაბამის ადმინისტრაციულ- ტერიტორიულ ერთეულებში - სახელმწიფო რწმუნებულები - გუბერნატორები, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

საზეიმო ღონისძიებების მსვლელობის ტერიტორიაზე სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადების მობილიზება; ვეტერანების ტრანსპორტით უზრუნველყოფა	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური
საზეიმო ღონისძიებების მსვლელობის დროს საზოგადოებრივი წესრიგის გაძლიერებული დაცვა	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო